




## სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

-----  ნოე ქაშიზაძე  
17 დეკემბერი 2014 წელი

სსიპ „აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N19/129

2011 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 1 იანვარი

## შინაარსი

|                                                 |    |
|-------------------------------------------------|----|
| დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....             | 3  |
| სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....               | 4  |
| დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.....   | 9  |
| ბალანსი და მასთან დაკავშირებული ანგარიშები..... | 10 |

## დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

### სსიპ „აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“-ს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ „აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“-ს (შემდეგში „ანსამბლი“) ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2011 წლის 31 დეკემბრის, 2012 წლის 31 დეკემბრის და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით - ბალანსის დანართი ფორმა №2, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №2-2, წმინდა ღირებულების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №3, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №4, ფულადი გრანტების შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №4-1, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №5, ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №6.

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ანსამბლის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი

შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი წარმომადგენლობის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისათვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

### ***პირობითი მოსაზრების საფუძველი***

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2011 წლის 31 დეკემბრის, 2012 წლის 31 დეკემბრის და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციას არასწორად და არასრულად აქვს წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებების შემადგენელი ფორმა N1, ფორმა N2, ფორმა N3 და ფორმა N5, კერძოდ:

### ***არაფინანსური აქტივების აღრიცხვა***

ძირითადი საშუალებებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა 32 ერთეული 500.56 ლარის პირველადი ღირებულების გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივის დანაკლისი (კერძოდ: ხანჯალი - 8 ცალი; ჩოხის ქამარი - 8 ცალი; მოსართავი ჯინჯილა - 8 ცალი; ჩოლკები - 8 ცალი) და 58 ერთეული გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივის ზედმეტობა (კერძოდ: ვერცხლისფერი ფეხსაცმელი-12 ცალი; შავი ფეხსაცმელი-12 ცალი; ჭადი-3 ცალი; ხის კარადა-5 ცალი; საწერი მაგიდა-10 ცალი; სკამი-11 ცალი; თარო-3 ცალი; რკინის სეიფი-1 ცალი; ტელევიზორის დასადგამი-1 ცალი). აქედან 34 ერთეული გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივი, ანსამბლის ინფორმაციით არ წარმოადგენენ მის საკუთრებას და ისინი დროებით იმყოფება მათ სარგებლობაში. შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გარეშე ანსამბლის შენობაში განთავსებისას აღნიშნული ნივთები უკვე იყო ოთახებში განთავსებული, ხოლო მათი გადმოცემის თაობაზე რაიმე დოკუმენტი არ გაფორმებულა. ვინაიდან მოცემული აქტივების ფასები უცნობი იყო, შესაბამისად ისინი შეტანილი იქნა საივენტარო აღწერაში ღირებულებების გარეშე.

### ***ხელფასების დარიცხვის საფუძვლიანობა***

ხელფასების დარიცხვის აუდიტით, გამოვლინდა რომ 2011 და 2013 წლებში არასწორად არის ანსამბლის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული (ბრძანებებით) და ბუღალტრულად დარიცხული ანსამბლის წევრებზე ხელფასები აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგთან მიმართებაში. კერძოდ:

| თანამდებობა                    | სახელი, გვარი       | პერიოდი                  | ხელფასის<br>ოდენობა<br>დამტკიცა<br>ბული<br>საშტატო<br>განრიგით | ხელფას<br>ის<br>ოდენობ<br>ა<br>დარიცხ<br>ვით | სხვაო<br>ბა | შენიშვნა                                                              |
|--------------------------------|---------------------|--------------------------|----------------------------------------------------------------|----------------------------------------------|-------------|-----------------------------------------------------------------------|
| კონცერტმაისტერი<br>და მსახიობი | ირინა<br>სიმონიანი  | 2011 წელი                | 400                                                            | 440                                          | 40          | სულ ზედმეტად<br>დარიცხულია 480 ლარი                                   |
| არტისტი                        | დავით<br>ალაპიშვილი | 01.01.2013<br>01.04.2014 | 500                                                            | 600                                          | 100         | სულ ზედმეტად<br>დარიცხულია 300 ლარი                                   |
| არტისტი                        | დავით<br>ლონდარიძე  | 01.01.2013<br>01.01.2013 | 400                                                            | 300                                          | -100        | სულ ნაკლებობით<br>დარიცხულია 300 ლარი                                 |
| ჯამი                           | X                   | X                        | 1300                                                           | 1340                                         | 40          | სულ ზედმეტად<br>დარიცხულია 780 ლარი;<br>ნაკლები ოდენობით 300<br>ლარი. |

ამრიგად, ანსამბლის მუშაკებზე ზედმეტად ანაზღაურებულია ხელფასი სულ 780 ლარი, ხოლო ნაკლებობი ოდენობით გაცემულია 300 ლარი.

### მივლინება

ქვეყნის საზღვრის ფარგლებს გარეთ მივლინებული პირების მიერ ანაზღაურებულ სამივლინებო ხარჯებზე არ არის წარმოდგენილი საავანსო ანგარიშები<sup>1</sup>.

ანსამბლის მმართველის 25.07.2012 წლის №2/7 ბრძანებით ანსამბლის 26 წევრი 28.07.2012 წლიდან 9 დღით მივლინებულ იქნა იტალიის ქალაქებში რომა და რეჯიო კალაბრიაში, საერთაშორისო ფესტივალის - „ჩვენებურების“ ეგიდით ორგანიზებული კონცერტების ჩასატარებლად. პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენდა 24,891.00 ევროს და 2,332.00 ლარს. მათ შორის: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან მისაღები დაფინანსება შეადგენდა - 12,640.00 ევროს, ხოლო აფხაზეთის ა/რ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან კი - 12,251.00 ევროსა და 2,332.00 ლარს (სულ 26,960.00 ლარს).

აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი დაფინანსების ხარჯვა განხორციელდა აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის 25.07.2012 წლის №428 ბრძანებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომლის შემოწმებით გამოვლინდა შემდეგი:

ანსამბლი ასოციაციის მიერ მოწვეული იყო 2012 წლის 28 ივლისიდან 04 აგვისტომდე (7 დღე), ასევე ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული პროგრამითაც ანსამბლის უკან დაბრუნება დაგეგმილი იყო 2012 წლის 04 აგვისტოს. მიუხედავად ამისა, სსიპ „აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის“ მიერ მომზადებული ხარჯთაღრიცხვების საფუძველზე სარეზერვო ფონდიდან გამოიყო ხარჯები 2012 წლის 28 ივლისიდან 5 აგვისტოს ჩათვლით (9 დღე), მათ შორის სასტუროში განთავსების ხარჯი გაანგარიშებულია

<sup>1</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2013 წლის №449 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“ (ფორმა N015).

4 დღეზე (28,29,30,31)-2,996.00 ევრო, ხოლო დღიური ხარჯი 9 დღეზე - 6,255.00 ლარი. გასტროლებთან დაკავშირებით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ზედმეტად მოთხოვნილი და გამოყოფილი თანხები ცხრილის სახით შემდეგნაირად გამოიყურება:

| ხარჯის დასახელება | წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით |            |                  |            | საკონტროლო მონაცემებით |          |           |      | ზედმეტობა |      | ევროს კურსი ლარებში |
|-------------------|---------------------------------|------------|------------------|------------|------------------------|----------|-----------|------|-----------|------|---------------------|
|                   | პირთა რ-ბა                      | დღეთა რაოდ | დღ. ნორმა (ევრო) | სულ (ევრო) | პირთა რ-ბა             | დღ. რ-ბა | დღ. ნორმა | სულ  | ევრო      | ლარი |                     |
| სასტუმრო          | 24                              | 4          | 26.5             | 2544       | 24                     | 3        | 26.5      | 1908 |           |      |                     |
|                   | 2                               | 4          | 29               | 232        | 2                      | 3        | 29        | 174  |           |      |                     |
|                   | 1                               | 4          | 55               | 220        | 1                      | 3        | 55        | 165  |           |      |                     |
| დღიური            | 26                              | 9          | 25               | 5850       | 26                     | 7        | 25        | 4550 |           |      |                     |
|                   | 1                               | 9          | 45               | 405        | 1                      | 7        | 45        | 315  |           |      |                     |
| ჯამი              |                                 |            |                  | 9251       |                        |          |           | 7112 | 2139      | 4300 | 2.01                |

ამრიგად, ჯამში გასტროლებთან დაკავშირებით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ზედმეტად მოთხოვნილია (გამოყოფილია) 4,300.00 ლარი. თუმცა აღსანიშნავია, რომ როგორც ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში ასევე ყველა სხვა შემთხვევებშიც მივლინებები ქვეყნის გარეთ მივლინებულ პირებზე სადღელამისო ხარჯები ფაქტიურად ანაზღაურებულია დადგენილ ნორმაზე ნაკლები ოდენობით<sup>2</sup>. კერძოდ:

ზემოაღნიშნული მივლინების შემთხვევაში სამხატვრო ხელმძღვანელზე თანხები ანაზღაურებულია დადგენილი ნორმის ფარგლებში, ხოლო დანაჩენ 25 წევრზე ანაზღაურება განხორციელებულია შემცირებული ოდენობით, კერძოდ:

| ქვეყნის დასახელება | დადგენილი ნორმა (ევრო) | დღეთა რაოდენობა | ასანაზღაურებელი თანხა უცხოვალუტაში | კურსის მაჩვენებელი (ევრო) | ასანაზღაურებელი თანხა ლარში | ფაქტობრივად ანაზღაურებული თანხა | სხვაობა (6-7) | მივლინებულ წევრთა რაოდენობა | სულ დაკლებული თანხა |
|--------------------|------------------------|-----------------|------------------------------------|---------------------------|-----------------------------|---------------------------------|---------------|-----------------------------|---------------------|
| 1                  | 2                      | 3               | 4                                  | 5                         | 6                           | 7                               | 8             | 9                           | 10                  |
| იტალია             | 45                     | 9               | 405                                | 2.0298                    | 822.07                      | 452.25                          | 369.82        | 25                          | 9245.48             |

ანსამბლის მმართველის 07.02.2012 წლის №2/1 ბრძანებით ანსამბლის 35 წევრი 13.03.2012 წლიდან 31.03.2012 წლის ჩათვლით (19 დღე) მივლინებულ იქნა ესპანეთში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში საერთაშორისო ფესტივალ „ჩვენებურების“ ფარგლებში კონცერტების ჩასატარებლად და ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში საგუნდო მუსიკის საერთაშორისო

<sup>2</sup> საქართველოს პრეზიდენტის 20.04.2005 წლის №231 ბრძანებულებით დამტკიცებული „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ წესის მე-10 პუნქტის მოთხოვნები.

კონკურსში - „მონსერატის ოქროს ხმები“ მონაწილეობის მისაღებად (პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენდა 42,255.00 ევროს. მათ შორის: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან მისაღები დაფინანსება შეადგენდა - 20,825.00 ევროს, ხოლო აფხაზეთის ა/რ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან კი - 21,400.00 ევროს). ამ შემთხვევაშიც დადგენილი სადღეღამისო ნორმა სრულად მხოლოდ სამხატვრო ხელმძღვანელობა ანაზღაურებული, ხოლოს დანაჩენ 34 წევრზე ანაზღაურება განხორციელებულია შემცირებული ოდენობით:

| ქვეყნის დასახელება | დადგენილი ნორმა (ევრო/შვეიცარული ფრანკი) | დღე თა რაოდენობა | ასანაზღაურებელი თანხა უცხოეთში | კურსის მაჩვენებელი (ევრო/შვეიცარული ფრანკი) | ასანაზღაურებელი თანხა ლარში | ფაქტობრივად ანაზღაურებული თანხა | სხვაობა (6-7)  | მივლინებულ წევრთა რაოდენობა | სულ დაკლებული თანხა |
|--------------------|------------------------------------------|------------------|--------------------------------|---------------------------------------------|-----------------------------|---------------------------------|----------------|-----------------------------|---------------------|
| 1                  | 2                                        | 3                | 4                              | 5                                           | 6                           | 7                               | 8              | 9                           | 10                  |
| საფრანგეთი         | 56                                       | 4                | 224                            | 2.0165                                      | 451.70                      |                                 |                |                             |                     |
| ესპანეთი           | 45                                       | 11               | 495                            | 2.0165                                      | 998.17                      |                                 |                |                             |                     |
| შვეიცარია          | 80                                       | 4                | 320                            | 1.6792                                      | 537.34                      |                                 |                |                             |                     |
| <b>სულ</b>         |                                          | <b>19</b>        | <b>1039</b>                    |                                             | <b>1987.21</b>              | <b>782.18</b>                   | <b>1205.03</b> | <b>34</b>                   | <b>40970.94</b>     |

ანსამბლის მმართველის 21.08.2013 წლის №3/32 და 3/31 ბრძანებებით ანსამბლის 35 წევრი 24.08.2013 წლიდან 05.08.2013 წლის ჩათვლით მივლინებულ იქნა საბერძნეთის ქალაქ ათენში, კულტურის III საერთაშორისო ფესტივალში „EARTHDANCERS“ მონაწილეობის მიზნით (პროექტის საერთო ბიუჯეტი 21,204.00 ლარი. მათ შორის: აფხაზეთის ა/რ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 12,000.00 ლარი, ანსამბლის სუბსიდიიდან-9,204.00 ლარი). ამ შემთხვევაში დადგენილი სადღეღამისო ნორმასთან შედარებით დაბალი თანხით ანაზღაურებულია ხელმძღვანელობაზე, ხოლო დანარჩენ 34 წევრზე ანაზღაურებულია უფრო ბევრად შემცირებული ნორმებით:

| ქვეყნის დასახელება | დადგენილი ნორმა (ევრო) | დღეთა რაოდენობა | ასანაზღაურებელი თანხა უცხოეთში | კურსის მაჩვენებელი (ევრო) | ასანაზღაურებელი თანხა ლარში | ფაქტობრივად ანაზღაურებული თანხა | სხვაობა (6-7)  | მივლინებულ წევრთა რაოდენობა | სულ დაკლებული თანხა |
|--------------------|------------------------|-----------------|--------------------------------|---------------------------|-----------------------------|---------------------------------|----------------|-----------------------------|---------------------|
| 1                  | 2                      | 3               | 4                              | 5                         | 6                           | 7                               | 8              | 2                           | 8                   |
| საბერძნეთი         | 39                     | 13              | 507                            | 2.0497                    | 1039.20                     | 507                             | 532.20         | 2                           | 1064.40             |
|                    | 39                     | 9               | 351                            | 2.0497                    | 719.44                      | 415                             | 304.44         | 1                           | 304.44              |
|                    | 39                     | 13              | 507                            | 2.0497                    | 1039.20                     | 253.5                           | 785.70         | 32                          | 25142.33            |
| <b>ჯამი</b>        |                        |                 |                                |                           | <b>2797.84</b>              | <b>1175.5</b>                   | <b>1622.34</b> | <b>35</b>                   | <b>26511.17</b>     |

## პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი 2011, 2012 და 2013 წლის სსიპ „აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“-ს ფინანსური ანგარიშგებები, გარდა წინა პარაგრაფში აღნიშნული საკითხისა, მთლიანად მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს სსიპ „აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრის, 2012 წლის 31 დეკემბრის და 2013 წლის 31 დეკემბრისათვის.

## სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

პირობითი მოსაზრების აბზაცში წარმოდგენილი გარემოებების გარდა გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე:

### *არაფინანსური აქტივები*

ძირითადი აქტივებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების აღრიცხვის ორგანიზებისა და მოვლა-შენახვაზე არ იყო უზრუნველყოფილი სრული კონტროლი. კერძოდ, მხოლოდ ნაწილი მატერიალური ფასეულობებისა ინახება ანსამბლის გარდერობსა და ოფისში, ხოლო ძირითადი სასცენო რეკვიზიტები, საკრავი ინსტრუმენტები და ინვენტარი ინახება მიმაგრების აქტების საფუძველზე განსაზღვრული მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიერ (ანსამბლის მომღერლები და მოცეკვავეები). ასევე ბუღალტრული აღრიცხვით ყველა გრძელვადიან მცირეფასიან ინვენტარზე არ იყო გახსნილი საინვენტარო ბარათები<sup>3</sup>.

### *პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების სისრულე*

აუდიტის პერიოდში ექსპლუატაციაში გაცემულია მარაგები პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების (გასავლის ზედღებულებები ან ჩამოწერის ან შესრულებული სამუშაოს აქტები ან სხვა) გაფორმების გარეშე, რომლებიც ასახავდნენ სამეურნეო მოვლენის მოხდენის ფაქტს. ასევე წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად გაწეულია ხარჯები კომპიუტერის ნაწილების შეძენასა და შეკეთებაზე, თუმცა არაა წარმოდგენილი რაიმე სახის დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა კონკრეტულად, რომელ კომპიუტერს ჩაუტარდა რემონტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტიურად ვერ დასტურდება 2011 წელს 456 ლარის ღირებულების და 2012 წელს 400 ლარის ღირებულების მარაგების და კომპიუტერის შეკეთებაზე გაწეული ხარჯების მიზანშეწონილობა და სისრულე<sup>4</sup>.

<sup>3</sup> საქართველოს ფინანსთამინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები;

<sup>4</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

## **დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე**

### **სსიპ „აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“-ს ხელმძღვანელობას**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ „აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“-ს (შემდეგში „ანსამბლი“) 2011-2013 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი.

### **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა**

ანგარიშების მომზადებისა და მისი სამართლიანად წარდგენის პასუხისმგებლობის გარდა, ანსამბლის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს თავისი საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება ანსამბლის მიერ 2011-2013 წლებში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა ანსამბლის მიერ 2011-2013 წლებში გაწეული საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე პირობითი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

### **პირობითი მოსაზრების საფუძველები კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე**

#### **სახელმწიფო ქონების მართვა (განთავსების ადგილი)**

ანსამბლი ფაქტობრივად განთავსებულია და ფუნქციონირებს ქ. თბილისში რუსთაველის გამზირი N37-ში და დაკავებული აქვს 236 მ<sup>2</sup>-მდე ფართი (5 ოთახი და 2 დარბაზი). თუმცა მოცემული ფართი ანსამბლის ბალანსზე საერთოდ არ არის ასახული. გარემოებების შესწავლით გაირკვა, რომ ანსამბლს განთავსების (ქონების გადმოცემის) თაობაზე შესაბამისი ადმინისტრაციული აქტი საერთოდ არ გააჩნია<sup>5</sup>.

#### **არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაცია**

2013 წლის ბოლოს ანსამბლში არ ჩატარებულა სავალდებულო ინვენტარიზაცია<sup>6</sup>

#### **სალაროს მართვა**

ანსამბლში ნაღდი ფულის მოძრაობის უზრუნველსაყოფად სალარო არ არის ტექნიკურად გამართული (კერძოდ, არაა აღჭურვილი სეიფებით ან ცეცხლგამძლე ლითონის კარადებით).

<sup>5</sup> სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის 35-ე მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტის მოთხოვნები.

<sup>6</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 23.07.2010 წლის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნა.

ასევე მოლარესთან არ არის გაფორმებული ხელშეკრულება მატერიალურ პასუხისმგებლობაზე; არ არის განხორციელებული სალაროს შემოწმებები<sup>7</sup>.

#### *ხელფასების დარიცხვის საფუძვლიანობა*

ანსამბლის მიერ არ არის დადგენილი და ნაწარმოები სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვა<sup>8</sup> (სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი ან/და არ გამოიყენება სპეციალური ტექნიკური საშუალება) და კონტროლი, ასევე არ არის ნაწარმოები სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელი<sup>9</sup>.

#### *ბალანსის შემოწმება*

2013 წლის წლიური ბალანსი არ არის შემოწმებული სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოსაგან დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ<sup>10</sup>.

აღსანიშნავია, რომ რიგი ნაკლოვანებებისა და კანონშეუსაბამობისა (ანსამბლის ფართზე უკანონოდ განთავსება/სარგებლობა), რომლებიც წარმოდგენილია აღნიშნულ პარაგრაფში, გამოვლენილი (წარდგენილი) იყო ანსამბლისათვის წინა პერიოდის აუდიტისას (შემოწმებისას), თუმცა ანსამბლმა ვერ უზრუნველყო მათი აღმოფხვრა.

#### **პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე**

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების გარდა, ანსამბლის მიერ მიერ 2011-2013 წლებში გაწეული საქმიანობა, ყველა არსებით ასპექტში შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

#### **სხვა მნიშვნელოვანი საკითხები:**

გვსურს, აგრეთვე ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ გარემოებებზე:

#### *ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობები*

2011-2013 წლებში ანსამბლის წევრებთან (მოცეკვავეები, მომღერლები და სხვა)

გაფორმებული ხელშეკრულებების 4.2 მუხლით გათვალისწინებული იყო ტესტირებების ან ატესტაციების ჩატარება ანსამბლში დასაქმებულთათვის, რომელიც აუდიტის პერიოდში საერთოდ არ ჩატარებულა.

აუდიტის ჯგუფი:

უფროსი აუდიტორი

გიორგი ფრუიძე

*17 დეკემბერი 2014 წელი*

<sup>7</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 04.02.2011 წლის №49 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების სალაროს ორგანიზებისა და ოპერაციების წარმოების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის და მე-7 მუხლის 1-ლი და მე-2 მუხლის მოთხოვნები.

<sup>8</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერი №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 30-ე მუხლის მე-15 პუნქტის მოთხოვნა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შინაგანაწესის მე-12 მუხლის მოთხოვნა.

<sup>9</sup> საქართველოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2013 წლის №449 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“ (ფორმა N029).

<sup>10</sup> „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა № 1

ორგანიზაციის

ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება  
სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი

ჩაბარების ეაღა

20.01.2012წ.

ჩაბარა

მ.გ.ჩ.

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

ზომის ერთეული: ლარი

2012წლის 01 იანვრის მდგომარეობით

| კოდი                                                          | აქტივები                                                                   | ანგარიშის<br>ნიმუში | ნაშთი წლის<br>დასაწყისის<br>თებ | ნაშთი წლის<br>(ფარგლის)<br>ბოლოს |
|---------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------|---------------------|---------------------------------|----------------------------------|
| 1                                                             | 2                                                                          | 3                   | 4                               | 5                                |
| <b>I. ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები</b> |                                                                            |                     |                                 |                                  |
| 010                                                           | ნაღდი ფული საღარიბოში გროვულ ვალუტაში                                      | 1110                | 1                               | 1                                |
| 020                                                           | ნაღდი ფული საღარიბოში უცხოურ ვალუტაში                                      | 1120                |                                 |                                  |
| 030                                                           | საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში                               | 1211                | 2460                            | 2807                             |
| 040                                                           | სავალუტო ანგარიში ბანკში                                                   | 1212                |                                 |                                  |
| 050                                                           | დებოზიტები ბანკში გროვულ ვალუტაში                                          | 1213                |                                 |                                  |
| 060                                                           | დებოზიტები ბანკში უცხოურ ვალუტაში                                          | 1214                |                                 |                                  |
| 070                                                           | სხვა ანგარიშები ბანკში                                                     | 1215                |                                 |                                  |
| 080                                                           | ანგარიში ხაზინაში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკანო ხარჯებისათვის    | 1221                |                                 |                                  |
| 090                                                           | საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ხაზინაში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის | 1222                |                                 |                                  |
| 100                                                           | დებოზიტები ხაზინაში გროვულ ვალუტაში                                        | 1223                |                                 |                                  |
| 110                                                           | დებოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში                                        | 1224                |                                 |                                  |
| 120                                                           | სხვა ანგარიშები ხაზინაში                                                   | 1225                |                                 |                                  |
| 130                                                           | სხვა ფინანსური აქტივები                                                    | 1300                |                                 |                                  |
| 140                                                           | მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან                                   | 1410                | 265                             | 265                              |
| 150                                                           | მოთხოვნები მიწოდებით                                                       | 1421                |                                 |                                  |
| 160                                                           | მოთხოვნები დანაკლისებით                                                    | 1422                |                                 |                                  |
| 170                                                           | ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები                            | 1423                |                                 |                                  |
| 180                                                           | ანგარიშვალდებული პირის მიმართ მოთხოვნა ხაზინიდან გადარიცხული თანხით        | 1424                |                                 |                                  |
| 190                                                           | გადახდილი დღგ                                                              | 1431                |                                 |                                  |
| 200                                                           | წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი                                      | 1432                |                                 |                                  |
| 210                                                           | სხვა გადასახადო აქტივები                                                   | 1433                |                                 |                                  |
| 220                                                           | წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა                                            | 1441                |                                 |                                  |
| 230                                                           | მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით                                       | 1442                |                                 |                                  |
| 240                                                           | მისაღები პროცენტები                                                        | 1443                |                                 |                                  |
| 250                                                           | მისაღები დივიდენდები                                                       | 1444                |                                 |                                  |
| 260                                                           | მისაღები სანდოები და ერთგვარად შენატანები                                  | 1445                |                                 |                                  |
| 270                                                           | სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები                                    | 1446                |                                 |                                  |
| <b>II. არაფინანსური აქტივები</b>                              |                                                                            |                     |                                 |                                  |
| 280                                                           | შენიშნული ნაგებობები                                                       | 2110                |                                 |                                  |
| 290                                                           | მანქანა-დანადგარები და ინვენტარი                                           | 2120                | 10872                           | 7479                             |
| 300                                                           | სხვა ძირითადი აქტივები                                                     | 2130                | 891                             | 10085                            |
| 310                                                           | დაუმთავრებელი შენეზლობა                                                    | 2140                |                                 |                                  |
| 320                                                           | სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები                                           | 2150                | 24953                           | 12011                            |
| 330                                                           | სტრატეგიული მარაგები                                                       | 2210                |                                 |                                  |
| 340                                                           | სხვა მატერიალური მარაგები                                                  | 2220                |                                 |                                  |
| 350                                                           | ფასეულობები                                                                | 2300                |                                 |                                  |
| 360                                                           | არაწარმოებული აქტივები                                                     | 2400                |                                 |                                  |
|                                                               | <b>ბალანსი</b>                                                             |                     | <b>39442</b>                    | <b>32647</b>                     |

| კოდი                                                                | ვალდებულებები და კაპიტალი                                                                                              | აგრონომის<br>ნომერი | ნაშთი წლის<br>დასაწყისისათვის<br>ფასი | ნაშთი წლის<br>(ცვარტლის)<br>ბალის |
|---------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------|---------------------------------------|-----------------------------------|
| 1                                                                   | 2                                                                                                                      | 3                   | 4                                     | 5                                 |
| <b>I. ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დაგაღიანებები</b> |                                                                                                                        |                     |                                       |                                   |
|                                                                     |                                                                                                                        | 3100                |                                       |                                   |
| 370                                                                 | ფინანსური ვალდებულებები                                                                                                | 3210                | 1257                                  | 0                                 |
| 380                                                                 | ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან                                                                            | 3221                |                                       |                                   |
| 390                                                                 | გადასახდელი მოვების გადასახადი                                                                                         | 3222                |                                       |                                   |
| 400                                                                 | გადასახდელი სამუშაოთა გადასახადი                                                                                       | 3223                |                                       |                                   |
| 410                                                                 | გადასახდელი ფულადი                                                                                                     | 3224                |                                       |                                   |
| 420                                                                 | ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები                                                                                     | 3231                |                                       |                                   |
| 430                                                                 | გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის                                                                            | 3232                |                                       |                                   |
| 440                                                                 | გადასახდელი ხელფასები შტატგარეშე მომუშავეთათვის                                                                        | 3233                |                                       |                                   |
| 450                                                                 | გადასახდელი სტაჟანდები                                                                                                 | 3234                |                                       |                                   |
| 460                                                                 | ვალდებულებები მეფინანსებით                                                                                             | 3235                |                                       |                                   |
| 470                                                                 | სოციალური დახმარების ანაზღაურებები                                                                                     |                     |                                       |                                   |
| 480                                                                 | დაპროექტებული მიერ ფულადი და სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით ვალდებულებები                               | 3236                |                                       |                                   |
| 490                                                                 | სამართლის ან/და აღმნიშვნელი ორგანიზაციების გადაწყვეტილებების შესაბამისად დაკავებული თანხები ან სხვა დაკავებული თანხები | 3237                |                                       |                                   |
| 500                                                                 | ვალდებულებები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ                                                                            | 3238                |                                       |                                   |
| 510                                                                 | წინასწარ მიღებული საფასური ღირებულება                                                                                  | 3241                |                                       |                                   |
| 520                                                                 | ვალდებულებები წინასწარ მიღებული სხვა შემოსულობებით                                                                     | 3242                |                                       |                                   |
| 530                                                                 | გადასახდელი პროცენტები                                                                                                 | 3243                |                                       |                                   |
| 540                                                                 | გადასახდელი დივიდენდები                                                                                                | 3244                |                                       |                                   |
| 550                                                                 | გადასახდელი საწვავი და ენერგია შენატარები                                                                              | 3245                |                                       |                                   |
| 560                                                                 | სხვა დანართი კრედიტორული დაგაღიანებები                                                                                 | 3246                | 20                                    | 20                                |
| 570                                                                 | ფულადი და სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით ვალდებულებები                                                  | 3250                |                                       |                                   |
| <b>II. კაპიტალი</b>                                                 |                                                                                                                        |                     |                                       |                                   |
|                                                                     |                                                                                                                        | 5100                | 36440                                 | 29555                             |
| 580                                                                 | წმინდა ღირებულება                                                                                                      | 5220                | 1725                                  | 3072                              |
| 590                                                                 | გაუნაწილებელი მოგება                                                                                                   | 5230                |                                       |                                   |
| 600                                                                 | დაუფარავი ზარალი*                                                                                                      |                     | 39442                                 | 32647                             |
| <b>III. საცნობარო მუხლები</b>                                       |                                                                                                                        |                     |                                       |                                   |
|                                                                     |                                                                                                                        | 01                  |                                       |                                   |
| 610                                                                 | საოპერაციო თვითმფრინავი აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული                                              | 02                  |                                       |                                   |
| 620                                                                 | პასუხისმგებელი შინაგან მფლობელი მატერიალური ფასეულობები                                                                | 03                  |                                       |                                   |
| 630                                                                 | გადახდისუნარიანი ფინანსური რაზმის მიერ დაგაღიანება                                                                     | 04                  | 3140                                  | 6488                              |
| 640                                                                 | ზარალი წმინდა მფლობელი მატერიალური ფასეულობებში                                                                        | 05                  |                                       |                                   |
| 650                                                                 | პრობითი მოთხოვნები                                                                                                     | 06                  |                                       |                                   |
| 660                                                                 | პრობითი ვალდებულებები                                                                                                  | 07                  |                                       |                                   |
| 670                                                                 | საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა                                                                                    | 08                  | 0                                     | 30932                             |
| 680                                                                 | ამორტიზირებული ძირითადი აქტივები                                                                                       | 09                  |                                       |                                   |
| 690                                                                 | გადაგადაცემული დაგაღიანებები                                                                                           |                     |                                       |                                   |

რეგისტრაციის საბუღალტრო:



მთავარი ბუღალტერი:

\* აღნიშნული სტრუქტურის მონაცემები აკლდება ბალანსის ვალდებულებისა და კაპიტალის ჯამს



| მ.წ.წ. | პროექტი                                                    | კოდი | სახელი | ფაქტობრივი | გეგმიური | გეგმიური | გეგმიური | გეგმიური | გეგმიური |
|--------|------------------------------------------------------------|------|--------|------------|----------|----------|----------|----------|----------|
| 240    | მოქალაქეთა უფლებების დაცვის ხარჯები                        | 229  |        |            |          |          |          |          |          |
| 250    | 12.9 სამხედრო ტექნიკის და ტექნიკური შეკეთების ხარჯები      | 2210 |        | 560,0      | 2954,00  | 2954,00  | 2954,00  | 2954,00  | 0        |
| 260    | 12.10 სხვა დანახარჯი საქონელი და მომსახურება               | 23   |        |            |          |          |          | 19400,00 |          |
